ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 26 ნოემბრის სხდომის

ოქმი №10

სხდომას ესწრებოდა: 31 წევრიდან – 17.

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის დამტკიცება
   მომხს: თ. ვახანია, ფაკულტეტის ფინანსური ოფიცერი
2. გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტში გადასვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი
3. ცვლილებები ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების შემადგენლობაში

   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი
4. ფაკულტეტის დებულების პროექტის განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი
5. მაგისტრანტთა დაფინანსების შესახებ
   მომხს: ი. კაჭკაჭიშვილი, პროფესორი
6. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში ცვლილებების შესახებ
   მომხს: ზ. დავითაშვილი
7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. 2016 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის პარამეტრები და 2015 წლის საფაკულტეტო ხარჯები დამსწრეთ გააცნო თ. ვახანიამ, ფაკულტეტის ფინანსურმა ოფიცერმა

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა გ. კაკაურიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2016 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის თამარ საბედაშვილის წერილი, რომლითაც ის ითხოვს ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტში პროგრამის გადატანას. თ. დოლბაიამ აღნიშნა, რომ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იაგო კაჭკაჭიშვილი ეთანხმება პროგრამის ტრანსფერს, თუმცა ითხოვს ასოცირებული პროფესორის შტატის შენარჩუნებას.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა გ. კაკაურიძემ და სხვ.

დაადგინეს: გადავიდეს გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტიდან ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტში და ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 3. ცვლილებები ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების შემადგენლობაში წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: ნ. პავლიაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის საატესტაციო და კრედიტების აღიარების კომისიების შემადგენლობაში. კერძოდ: საატესტაციო კომისიის წევრად, ნაცვლად ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დ. ოსეფაშვილისა, შევიდეს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი რევაზ ჯორბენაძე; კრედიტების აღიარების კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს, ნაცვლად ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დ. ოსეფაშვილისა, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი რევაზ ჯორბენაძე.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დებულების პროექტი განსხილველად წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა გ. კაკაურიძემ და სხვ.

დაადგინეს: გაგრძელდეს დებულების პროექტის განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული ჩართულობა დებულების შემუშავების პროცესში.

მოისმინეს: 5. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა ჩარიცხვისა და დაფინანსების საკითხი დღის წესრიგში დააყენა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

მან თქვა, რომ ამჟამად არსებული რეგულაციების მიხედვით, ფაკულტეტის ყოველი პროგრამა განსხვავებულ მოთხოვნას უყენებს აპლიკანტს. ზოგ პროგრამაზე უბრალოდ გასაუბრებაა, ზოგზე კი, გამოცდა, რაც იმას იწვევს, რომ ზოგ პროგრამაზე ძალიან ადვილად და დიდი რაოდენობით იწერება უმაღლესი შეფასებები, ზოგზე კი, უფრო

მაღალი სტანდარტების გამო, შეფასებები შედარებით დაბალია, რაც აპლიკანტთა კომპეტენციებს შორის რეალურად არსებულ განსხვავებას კი არ ასახავს, არამედ - პროგრამის ხელმძღვანელთა განსხვავებულ მიდგომას. შედეგად, მაგისტრანტთა დაფინანსების პროცესში ხდება იმ სტუდენტთა დისკრიმინაცია, რომლებმაც უფრო მაღალი სტანდარტის წინაპირობა დააკმაყოფილეს. პროფ. ი. კაჭკაჭიშვილმა მაგალითად დაასახელა, რომ ერთ-ერთ პროგრამაზე ერთდროულად ხუთი უმაღლესი შეფასებაა დაწერილი, რის გამოც შეიზღუდა სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს მიმართულებაზე არსებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელებმა ჩარიცხვის საკმაოდ რთული წინაპირობა დააკმაყოფილეს. პროფ. ი. კაჭკაჭიშვილის მოსაზრებით, აუცილებელია ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების საერთო ფორმატის შემუშავება სტუდენტთა დაფინანსებისას მათი თანაბარ პირობებში ჩაყენების მიზნით.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, სტუდენტმა გ. კაკაურიძემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე ჩარიცხვისას აპლიკანტს გაცილებით მეტი მასალის დამუშავება სჭირდება, ვიდრე იმ პროგრამებზე, სადაც უმაღლეს შეფასებათა რაოდენობა ძალიან მაღალია; სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნ. დურგლიშვილმა დააყენა ფსიქომეტრული ანალიზის აუცილებლობის საკითხი: ის ფაქტი, რომ შეფასების შედეგად ძირითადად ერთნაირი ქულები იწერება, ეჭვქვეშ აყენებს შეფასების სისტემის გამართულობას - ეს შეიძლება სირთულისა და დისკრიმინაციის არაადეკვატური მაჩვენებლებით იყოს გამოწვეული, რის გამოც შეუძლებელი ხდება აპლიკანტთა რანჟირება.

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის ყველა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ძირითადი წინაპირობა იყოს ერთიანი ფორმატით - სპეციალობაში წერითი გამოცდის საფუძველზე; ამავდროულად პროგრამას შეუძლია გამოიყენოს ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობები, როგორიცაა გასაუბრება და/ან გამოცდა უცხო ენაში.
2. პირველსემესტრელ მაგისტრანტთა დაფინანსება განხორციელდეს სპეციალობაში წერითი გამოცდის შედეგად მიღებული ქულების საფუძველზე
3. განხორციელდეს შეფასების სისტემის ფსიქომეტრული ანალიზი.

მოისმინეს: 6 ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში ცვლილების განხორციელების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ზ. დავითაშვილმა და წარმოადგინა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სხდომის ოქმი, რომლითაც ითხოვენ გარდაცვლილი ა. რონდელის ჩანაცვლებას თ. თურმანიძით

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაზემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში და თ. თურმანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი კოლეგიის თავმჯდომარე, შევიდეს საბჭოს წევრად.

მოისმინეს: 7. მიმდინარე საკითხები:

1. დეკანის მოადგილე ვ. მელიქიძემ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით გააააქტიურონ დოქტორანტებთან მუშაობა;

2. 2015–2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა დაიწყოს 18.00 საათზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ---- ---- ----

26 ოქტომბერი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანი

თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ამირან ბერძენიშვილი
3. ნინო დურგლიშვილი
4. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. თორნიკე თურმანიძე
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

9. მალხაზ მაცაბერიძე
10. გია ჟორჟოლიანი
11. ნანა მაჭარაშვილი
12. ალექსანდრე კუხიანიძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

13. მარიამ გერსამია
14. დალი ოსეფაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

~~18. თამარ დოლბაია~~
19. გიორგი გოგსაძე
20. მარინა ბოკერია
21. ნინო პავლიაშვილი
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. ~~გიორგი როგავა~~ დავით მაჭავარიანი davita.machavariani@gmail.com
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ დოლბაის

თსუ -ს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის

თამარ საბედაშვილის

14/09/2015

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოგმართავთ თხოვნით, გენდერის კვლევის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გადაიტანოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ დეპარტამენტში.

პატივისცემით,

თამარ საბედაშვილი
ასოცირებული პროფესორი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული № 1410 გვ. 1
"15" 09 2015 წ.
ხელმოწერა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

თამარ დოლბაიას

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის

ზურაბ დავითაშვილის

წ ე რ ი ლ ი

ქალბატონო თამარ, გიგზავნით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის 2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმს.

პატივისცემით,

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

28.10.2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის 2015 წლის 28 ოქტომბრის კრების

ო ქ მ ი

ესწრებოდნენ: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ დავითაშვილი (კრების თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, ასისტენტ–პროფესორი ეკა აკობია, ასისტენტ–პროფესორი დავით მაცაბერიძე, ასისტენტ–პროფესორი სოფო პეტრიაშვილი.

დღის წესრიგი: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორის, ალექსანდრე რონდელის გარდაცვალების გამო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კომისიაში მისი ჩანაცვლება ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძით.

მოისმინეს: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ზურაბ დავითაშვილის წინადადება, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კომისიაში წარდგენილ იქნეს ამავე მიმართულების ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე.

დაადგინეს: კრების ყველა მონაწილის თანხმობით, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კომისიაში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი ალექსანდრე რონდელი ჩაანაცვლოს ამავე მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა თორნიკე თურმანიძემ.

კრების თავმჯდომარე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

პროფესორი **ზურაბ დავითაშვილი**

კრების მდივანი

კონსტანტინე შუბითიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
2016 წლის ბიუჯეტი

დანართი 1

დასახელება	2016 წლის ბიუჯეტი
სულ ხარჯები	**2,934,407**
შრომის ანაზღაურება	1933860
თანამდებობრივი სარგო	**1933860**
აკადემიური პერსონალი (წლიური ხელფასი)	1371600
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	562260
საქონელი და მომსახურება	1,000,547
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**655,397**
მოწვეული სპეციალისტები (საათობრივი ანაზღაურება)	400000
პოსტ დოქტორანტების ანაზღაურება	21000
უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები (ჰონორარი) სტატიების რეცენზია	40000
დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია) შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება	133800
დამხმარე პერსონალი (თარგმნა და რედაქტირება)	60597
მივლინება	**73870**
ქვეყნის შიგნით	10000
ქვეყნის გარეთ	63870
წარმომადგენლობითი ხარჯები	**51000**
მიღებების, წვეულებების და ღონისძიებების ხარჯები, დარბაზი, ფურშეტი, და სხვა.	12000
მომსახურების უზრუნველყოფა (სატრანსპორტო, სასტუმროს განთავსების და სხვა ხარჯები)	39000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**220280**
სამეცნიერო ჟურნალების და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები (მ.შ. სტუდენტების ჟურნა-გაზეთების გამოცემა)	27050
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	15000
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	4800
ექსპედიციისა და პრაქტიკის ხარჯები.	45000
სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯებილ (პრაქტიკის ხარჯები)	42180
სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობის დაფინანსება	75000
საუნივერსიტეტო დაფინანსება დოქტორანტურა	11250